ცნობის ფურცელი

№ 1830 პარასკევი, 7 ივნისი 1896—1902 ყოველ-დღიური გამოცემა № 1830

გაზეთის ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვაჭრის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებ.ს გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372

აზნაურები: ალექსანდრე, სევასტი, ილარიონ და ვლადიმერ გლახუას ძენი ქორქიები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მათი უსაყვარლესი დედის

ეკატერინა მერაბოვნა

გეგეჭკორის ასულის გარდაცვალებას.

ქალაქ ფოთში, 7 ივნისს საკუთარ სახლიდან გამოსვენებულ იქნება ფოთის სათედრო ტაძარში, საიდანაც მღვდელმთავრის წირვის ასრულების შემდეგ გემით წაასვენებენ სოფელ ქალადიდში და 8 ივნისს დაკრძალულ იქნება საგვარეულო სასაფლაოში. 1—337—1

მაღაზია
ნ. ა. საბაევისა და ფ. ს. ფილიპოვისა
ქ. ქუთაისში
გიმნაზიისა და ალექსანდრეს ქუჩების კუთხეში, ბულვარის პირდაპირ.

გვაქვს პატივი ვაცნობოთ პატივცემულ **ქუთაისის და ქუთაისის ახლო-მახლო სოფლების საზოგადოებას**, რომ ჩვენს მაღაზიაში გვაქვს მუდამ მრავალ-გვარი **ფარფორის და ფაიანსის საქონელი** სხვა-და-სხვა ხრუსტალის და შუშეულების ნაწარმოები, ვარშავისა და საზღვარ-გარეთელი ლამპები. საზღვარ-გარეთელი რკინეული საელემენტო ჭურჭლეულობა უმაღლესი ხარისხისა. სპილენძის ჭურჭლეულობა, სამოვრები და ყოველ-გვარი საოჯახო კუთვნილებანი. მელხიორის და ბრიჯაოს ნაწარმოებნი. ვენის გალუნული ბამბუკის სახლის ავეჯეულება. ინგლისური და ვარშავის კრაოტები და მატრაცები. სხვა-და-სხვა კედლის და სატუალეტო სარკეები. კლიონკები და ლინოლეუმები პოლისთვის. რუსული და საღვარ-გარეთელი გიტარები, სკრიპკები და სტრუნები ყოველ-გვარი. საეკლესიო კუთვნილებანი.

ყველაფერი ისყიდება **ზომიერ ფასად და უვაჭროდ.** (45—34)

ბორჯომში
ექიმი ვ. ღამბაშიძე

იღებს ავადმყოფებს დილის $8^{1}/_{2}$—11-მდე და საღამოს 4—6 საათამდე, ყოველ დღე კვირა დღეს გარდა.

ბინა: გოფმეისტრის ქუჩაზე, საეკლესიო ქუჩის ასახვევთან, გინცენბერგის სახლი.

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვების 9—10 საათამდე. სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ზ. ზ. მალალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ქ. მ. ელიოზიშვილი—შინაგანი და ბავშვების 11—12 საათამდე.

ა. ვ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგანი, ნერვების და წამლობა ელექტრონით 12—1 საა თ.

ზ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

ზრ. ვ. სობოლევსკი—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათ.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედ.თა სნეულებანი 5—6 საათამდე.

მ. ი. იანჩევსკი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. 5—6 ს. კვირაობით 12—1 ს.

ა. ზ. მალალაშვილი—შინაგანი ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

ზ. მალალაშვილი—კვირაობით, 10—12 საათამდე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.- ტელეფონი № 274. (წლ.)

ექიმი
ალექსანდრე გიორგის ძე
მალალაშვილი

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს დილით 12—2 საათამდე და საღამოთი 4—5-მდე მიიღებს აგრეთვე საქიმო: ქიმიურ, მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათა. ოქრო-მჭედლების ქუჩა, № 40, თუ. ლაევის სახლი.

კავკასიის სამოსწავლო ოლქის ნებართვით 5 თიბათვიდგან 20 მარიამობისთვემდის გახსნილ იქნება დაბა **სურამში**

სარეპეტიციო
და
მოსამზადებელი კლასები.

მასწავლებლად არიან მოწვეულნი სპეციალისტნი, მაღალ სასწავლებლებში კურს-დამთავრებულნი. ვამზადებთ აგრეთვე კავკასიის კორპუსისათვის.

მმართველნი კლასებისა ალ. ივ. ნათაძე და პერ. მიხ. კორსანიდი.

ქ. გორში,
ექიმი კონსტანტინე ლაზარეს ძე
ტურიაშვილი,

საკუთარ სახლში, იღებს ავადმყოფებს: შინაგანთა, საბავშვო და თვალის ავადმყოფებს. —336—

სასწავლებელი და პანსიონი
ა. მამულაიშვილისა

ამზადებს ბავშვებს საშუალო სასწავლებლებისათვის (გიმნაზია, რეალური და კომერციული სასწავლებლები, კადეტთა კორპუსი და სხ.(

აქვე ამზადებენ მოწაფეებს, რომელთაც დანიშნული აქვთ ხელ-მეორედ გამოცდა, (переэкзаменовка). ვერა, სლეპცოვის ქუჩა. № 13. ზემმელის აფთიაქის მახლობლად. (10—330—5)

ბებია
ვ. მ. ლიმონი

ცხოვრობს სუდებნის ქუჩაზე, სახლი მირზოევისა, № 34, სადგომი თ. ანდრონიკაშვილისა, საოლქო სასამართლოს რიგზე. (0—14)

საზღვარ-გარედ

საფრანგეთი. გუშინდელ ნომერში ჩვენ მოვიყვანეთ ახალი სამინისტროს დეკლარაცია და აღვნიშნეთ ის, თუ როგორ მიიღო პალატამ იგი. ახლა მოგვყავს ფრანგული ყოველ-დღიური გაზეთების აზრი. „რადიკალი“ თავდაჭერილად ლაპარაკობს დეკლარაციის შესახებ. იწონებს რა მთავრობის დაპირებას, რომ იგი მოერიდა ყოველიფერს, რაც კი რესპუბლიკელთა ერთობას შეასუსტებსო, გაზეთი ამბობს: ვნახოთ მაინც, რამდენად შეასრულებს მთავრობა თავის პროგრამასო. შესრულება პროგრამისა უფრო ძნელი საქმეა, ვიდრე მისი შედგენაო. მეორე რადიკალური გაზეთი „რაპელ“ უფრო თანაგრძნობით ეკიდება. მთავრობის პროგრამა სწორედ იმას შეიცავს, რასაც ახლანდელი მომენტი მოითხოვსო. არც ნამეტანი აგრესიულია და არც ნამეტანი გამორკვეულია იმ ეკონომიური რეფორმების შესახებ, რომლებზედაც არ შეიძლება წინადვე ითქვას, რომ უმრავლესობა მათი მომხრე იქნებაო. სოციალისტური „ლანტერნი“ კომბის პროგრამას ზომიერ-რადიკალურს უწოდებს და მწუხარებას აცხადებს, რომ მთავრობამ კონკორდატის გაუქმება არ ჩაურთო თავის პროგრამმაში. „პტიტ რეპუბლიკი“ იმას უსაყვედურებს კომბს, რომ დეკლარაცია საკმაოდ ნათელი არ არისო. უკეთესი იქნებოდა, რომ მისი ფორმა უფრო ენერგიული ყოფილიყო და მისი შინაარსი უფრო გამორკვეულიო. ზომიერ-რესპუბლიკელი გაზეთები ცოტა დაცინვით უყურებენ სამინისტროს დეკლარაციას. „ფიგარო“-ს აზრით, იგი წარმოადგენს კომპრომისს რუვიესა და რადიკალ წევრთა შორის. როდესაც უხეირო ფინანსები გაქვს, ძნელია ქვეყნის დაპყრობაზე ფიქრიო. სჩანს, რუვიეს ჩაუგონებია ეს აზრი თავის შეურიგებელ ამხანაგთათვისო. ამ უკანასკნელ სიტყვებს თავისი მნიშვნელობა აქვთ. რუვიე რადიკალი არ არის და მის შესვლას ახალ კომბინაციაში არავინ მოელოდა, თუმცა მისმა მომხრე პრესსამ კი ლაპარაკი ასტეხა, საფრანგეთის ფინანსები ძალიან ცუდ მდგომარეობაში არის და მხოლოდ რუვიეს შეუძლია მათი გაძლოლა და გამოკეთებაო. რუვიე მართლაც ცნობილია როგორც ჩინებული, მოხერხებული და გამოცდილი ფინანსისტი. მაგრამ მისი სიმპატია საფრანგეთის პლუტოკრატიისაკენ არის. გუშინაც მოვიხსენიეთ მაგ., რომ იგი წინააღმდეგი იყო რკინის გზების გამოყიდვისა, რაც აუცილებელ საჭიროებად მიაჩნიათ ყველა პროგრესიულ პარტიებს. აგრეთვე ბანკები, მადნები და სხვა ათასგვარი მონოპოლიები იმავე პლუტოკრატიის ხელშია. იგი უფრო მდიდრდება, ხოლო ხალხს კი მძიმე ტვირთად აწევს. რუვიეც სწორედ იმ პოლიტიკურ დასს ეკუთვნის, რომელიც ხელს აფარებს დიდ კომპანიებს და მათ ცოდვებს. ცხადია, ზომიერ რესპუბლიკელებს ანუ უკეთ, ოპპორტიუნისტებს ნება ეძლევათ რუვიეს მიწვევა თავის გამარჯვებათ ჩასთვალონ. მართლაც, რუვიეს მიწვევა კომბის მხრივ კომპრომისია, რომელიც არა მართლდება საფრანგეთის ფინანსთა მდგომარეობით; რაც შეეხება რეაქციონურ პრესსას, იგი ვერ მალავს თავის უკმაყოფილებას. „ეკო დე პარი“—ჟიულ ლემეტრის გაზეთი, ამბობს, რომ დეკლარაცია პალატაში ცივად მიიღესო, მინისტრთა შორის არ არსებობს სრული შეთანხმებაო. „ოტორიტე“-ს (ბონაპარტისტ კასანიაკის გაზეთია) აზრით სამინისტრომ უღალატა რადიკალურ პროგრამას და კლერიკალიზმის წინააღმდეგ ფილიპიკებს ნილაბად ხმარობსო. „გოლუა.“—რომელიც ეკუთვნის ურიას და თან ანტისემიტს—ასე ამბობს: რადგანაც სამინისტროს სერიოზული რეფორმების განხორციელების ძალა არ შესწევს, ამიტომ იგი მღვდლების და სალდათების წინაღმდეგ გამოდის საბრძოლველადაო.

ვაჭრობის მინისტრად ყოფილი მილიერანი დაუბრუნდა თავის ძველ ხელობას, ადვოკატობას, და თავის დასს. ამ დღეებში იგი დაესწრო სოციალისტთა ჯგუფის კრებას და განაცხადა შემდეგი: სამი წლის დაშორების შემდეგ, რომელიც გამოიწვია სამინისტროში მონაწილეობის მიღებამ, მე კვლავ ვბრუნდები თქვენს წრეში. მე იგივე დავრჩი, როგორსაც ყოველთვის მიცნობდით, როგორიც ვიყავი ამომრჩეველთა წინაშე: დარწმუნებული, რომ მოვალენი ვართ ვემსახუროთ ჩვენს აზრებს ყოველი კანონიერ საშუალებით, რომელთა შორის პირველ ადგილს მე ვუთმობ ჩვენი პარტიის მხრივ მონაწილეობის მიღებას სახელმწიფო მოღვაწეობაში; როგორც წინად, მე ახლაც წინააღმდეგი ვარ ყოველი ძალადობისა და საყოველთაო გაფიცვისაც.

ავსტრო-უნგრეთი. ჩეხელ დეპუტატის კლოფაჩის მიერ ატეხილ დავის შესახებ გაზეთები შემდეგ ცნობებს გვატყობინებენ.

კლოფაჩი შეეკითხა რეიხსრატში იმპერატორ ვილჰელმის სიტყვის შესახებ, რომელიც მარიენბურგში იყო წარმოთქმული. იგი ამტკიცებდა, რომ რაც ამ სიტყვაში ნათქვამია პოლონელების წინააღმდეგ, შეეხება საზოგადოდ სლავიანებსაო. კლოფაჩმა აღნიშნა, რომ ამ სიტყვის წარმოთქმის დროს ავსტრიის ჯარის წარმომადგენელი იქ იყო და ფიქრად არ მოუვიდა ვილჰელმის სიტყვების წინააღმდეგ პროტესტის გამოცხადებაო. რეიხსრატის თავმჯდომარემ კლოფაჩს ორჯერ მისცა შენიშვნა, წესიერება დაიცევიო, რის გამოც ჩეხელ რადიკალთა შორის ყვირილი ასტყდა. რადიკალი ფრესლი ხმა მაღლა ყვირის რამდენჯერმე: მხდალი მთავრობა! და თქვენ ყველა სლავიანები კი ხართ! კოფაჩმა თავისი სიტყვის ბოლოში ასე შეჰყვირა: ფუი, ჰოჰენცოლერნო! პანგერმანისტი შერერი, რომელსაც კლოფაჩის წინ უკავია ადგილი, უყვირის მას: მაშ აგრე რალად გეშინიათ? გერმანიის იმპერატორმა რომ ერთი სიტყვა წარმოსთქვას—თქვენ კანკალი მოგივათო. ჩეხები ამაზე ყვირილით უპასუხებენ. თავმჯდომარე სიტყვას ართმევს ორატორს და მსწრაფლად ჰხურავს სხდომას. შემდეგ სხდომაზე რეიხსრატის თავმჯდომარე ენერგიულად ჰკიცხავს კლოფაჩის სიტყვებს და ამბობს, რომ ყვირილის გამო მე მხოლოდ ზოგიერთი ფრაზა გავიგონეო. ვწუხვარ, რომ ამის გამო მე ვერ მივიღე ყველა ის დისციპლინარული ზომები, რომლის ნებასაც ჩემი თანამდებობა მაძლევსო. წარსულ სხდომაზე მომხდარი ინციდენტი, ამბობს იგი, მეტად საზიანოა პარლამენტის ღირსებისათვისო. ჩეხელი რადიკალები ყვირილით უპასუხებენ თავმჯდომარეს: მხდალებო, თქვენ გეშინიათ გერმანიის იმპერატორისა! გამოუცხადეთ დატუქსვა გოლუხოვსკის! მინისტრ-პრეზიდენტი, კერბერი, უყურადღებოდ სტოვებს კლოფაჩის შეკითხვას. და უმატებს: მე არა მაქვს უფლება პალატის მაგიერ გამოვაცხადო გულის წყრომა, მაგრამ მწუხარებით უნდა აღვნიშნო ის გავლენა, რომელიც ამგვარ ინციდენტებს მოსდევს; მე ვარ სახელმწიფოს წარმომადგენელი ყველა უცხო სამეფოთა წინაშეო.

„სლოვო პოლსკე“ გვატყობინებს, რომ ლემბერგის საბჭოს მოსამსახურეებმა კლოფაჩს ტელეფონით გამოუცხადეს მადლობა და თანაგრძნობა მის პროტესტსო.

ბუდა-პეშტში დიდი მზადებაა თურმე სტუდენტების საერთაშორისო მესამე კრებისათვის. კრება მოხდება სექტემბრის დამლევს ან ოქტომბრის დამდეგს. კრებას დაესწრებიან გარდა ევროპისა, ამერიკის, ინდოეთის და ავსტრალიის სტუდენტები. ცნობების მი-

სადებად მსურველს შეუძლია მიჰმართოს საორგანიზაციო კომიტეტს, რომლის ადრესი შემდეგია: Budapest, iv, Maria valeria ùteza, 5.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

◆ სოხუმიდან დეპეშით გვატყობინებენ, რომ მოგზაურ ქართულ-დრამატიულ საზოგადოების დასის არტისტებისაგან აუარებელისა და აღტაცებულის ხალხის თანადასწრებით გამართულ იქმნა სამი წარმოდგენა. არტისტებს მიართვეს ძვირფასი საჩუქრები. აფხაზეთისა და სამეგრელოს თავად-აზნაურობამ, ინტელიგენციამ და ვაჭრებმა ასე 300 კაცმა ვ. გუნიას მეთაურობით შემდგარ არტისტთა დასს გაუმართა მშვენიერი ვახშამი, რომლის დროსაც წარმოითქვა მრავალი სადღეგრძელოები. პირველი სადღეგრძელო იყო მისი, ვინც პირველად შეადგინა ქართულ არტისტთა დასი და დრამატიული საზოგადოებისა, რომელიც იცავს ინტერესებს სამშობლო თეატრისას. ბ-ნმა გუნიამ გრძნობიერის სიტყვით მადლობა გადაუხადა თავისა და საზოგადოების მხრით ძვირფას მასპინძლებს ასეთის არა ჩვეულებრივის დახვედრა-მიღებისათვის, რაც მოწამეა ამ განსაკუთრებულ პირობებში მყოფ ჩვენის ქვეყნის მოშორებულ ტურფა კუთხის სულიერ ზრდა-წარმატებისა და აღუთქვა შემდეგშიაც არა ერთხელ ასეთივე წარმოდგენების გზად გავლის დროს გამართვა. ფოთის ახალგაზდობის თხოვნით ერთი წარმოდგენა იყო კიდევ გამართული, ფოთში რომელზედაც დიდ ძალი საზოგადოება დაესწრო. დღეს, 7 ივნის წარმოდგენა გაიმართება სენაკში.

◆ ტფილისის გუბერნატორის განკარგულებისამებრ, გუშინ, 6 ივნისს ტფილისის ქალაქის საბჭოს დარბაზში საზოგადო კრება ჰქონდათ ტფილისის ხელოსნების ამქრის უსტაბაშებსა და ხმოსანთა მამასახლისებს ხელოსანთა მოურავის თანამდებობაზე ორის კანდიდატის ამოსარჩევად. კრებას დაესწრო სულ 138 კაცი. კრების თავმჯდომარედ ამორჩეულ იქმნა ფრიდრიხ როლოვი. მოურავის თანამდებობაზე დასახელებულ იქმნენ ისევ კარაპეტ სერობიანცი, ივ. მხეიძე, მელქო რაფაილოვი და ფ. როლოვი. ფიცის მიღების შემდეგ შეუდგნენ არჩევანს, რომელმაც ნაშუადღევის 5 საათამდე გასტანა. კარ. სერობიანცს ამოუვიდა 84 თეთრი კენჭი და 54 შავი, მელქო რაფაილოვს 91 თეთრი და 47 შ., ივანე ნ. მხეიძეს 64 თ. და 75 შ. და როლოვს 58 თ. და 80 შ. ამრიგად ამორჩეულ იქმნენ მ. რაფაილოვი და კ. სერობიანცი; ესენი უნდა წარუდგინოს გუბერნატორს სახელოსნო სამმართველომ ამ დღეებში, რომელთაგან ერთი იქნება ხელოსანთა მოურავად დამტკიცებული.

◆ ოთხშაბათს, 5 ივნისს, ტფილისის არტისტიულ საზოგადოების სადგომში შესდგა საზოგადო კრება კავკასიის შეუძლებელ **სტუდენტთა დამხმარებელ საზოგადოების** წევრებისა. კრებას დაესწრო სულ 73 წევრი. კრების თავმჯდომარემ, ბ-მა გრუზენბერგმა, მოაგონა კრებას წარსულ სხდომის გარდაწყვეტილება, რომ გამგეობის არჩევნები კანონიერად იქმნა ცნობილი; მაგრამ, რადგანაც გამგეობის წევრნი მაინც გადადგნენ სამსახურიდან, ამიტომ ახლები დაასახელეთო.

ბარათებით დასახელებულ იქმნა სულ 35 კაცამდე, რომელთაგან კენჭი იყარა მხოლოდ 15 კაცმა. კენჭის დათვლამ აღმოაჩინა, რომ ექიმს ანანოვს ამოუვიდა 49 თეთრი კენჭი და 23 შავი; მ. ი. გრუზენბერგს 58 თ. 14 შ., ი. ს. ღულაძეს 57 თ. 15 შ. ი. მ. დოლუხანოვს 43 თ. 29 შ., მ. დ. ელჩუკოვს 61 თ. 10 შ., რ. ა. იოანესიანს 49 თ. 21 შ., ს. მ. ლავროვს 50 თ. 21 შ., ექიმს ტარსაიძეს 22 თ. 49 შ., ე. ს. თაყაიშვილს 60 თ. 12 შ., ექიმს ხატისოვს 43 თ. 29 შ., როტმისტრ ბორის ესაძეს 37 თ. 35 შ., ალ. მ. ჭყონიას 54 თ. 18 შ. და შევალიეს 62 თ. 9 შ.; ამ რიგად ხმის უმეტესობით გამგეობის წევრებად ამორჩეულ იქმნენ: ლ. ი. შევალიე, მ. დ. ელჩუკოვი, ე. ს. თაყაიშვილი, მ. ი. გრუზენბერგი, ი. ს. ღულაძე, ა. მ. ჭყონია, ს. მ. ლავროვი, რ. ა. იოანესიანი და ექიმი ანანოვი, ხოლო გამგეობის წევრთა კანდიდატებად სამი კაცი: ექიმი ხატისოვი, ბ. ესაძე და ი. მ. დოლუხანოვი. დანარჩენ კანდიდატების (კიდევ სამი კაცის) არჩევა შემდეგისათვის გადიდვა. ბოლოს კენჭის ყრით, სარევიზიო კომისიის წევრებად ამორჩეულ იქმნენ: ი. ი. ზურაბიშვილი, ი. გ. თამამშევი, ბ-ნი კრინიცკი, ა. ს. ღულაძე და ვ. ა. სულხანიშვილი, ხოლო სარევიზიო კომისიის წევრთა კანდიდატებად ბ. კუმსკოი და ნაფ. ვექ. თანაშემწე თულაშვილი. კრება დასრულდა ღამის 12 საათზედ.

◆ ტფილისის საგუბერნიო სამმართველოს სამკურნალო განყოფილების გარდაწყვეტილებით ექიმი **ლუკა ჯავახიშვილი** დაინიშნა თიანეთის მაზრის სოფ. ახმეტის სასოფლო ქსენონის გამგედ.

◆ რუსეთის სამრევლო საეკლესიო სკოლების უფროსი ზედამხედველი ბ-ნი შემიაკინი, რომელიც ამ დღეებში ტფილისში ჩამოვიდა სამსახურის საქმეების გამო, უკვე დაბრუნდა ისევ პეტერბურგს.

◆ ბავშვთა სამზრუნველო საზოგადოების თავმჯდომარემ მიმართა შუამდგომლობით ქალაქის თვით-მმართველობას, რომ, რადგანაც ბავშვთა სასადილო ავლაბრიდან დიდუბეში გადააქვთ, ქალაქმა მუქთად აძლიოს მილის წყალიო.

◆ დღეს, 7 ივნისს, საღამოს 8 საათზე, ტფილისის გამგეობის დარბაზში გამგეობის წევრის ვ. ნ. ჩერქეზიშვილის თავმჯდომარეობით დანიშნულია სხდომა იმ კომისიისა, რომელსაც მინდობილი აქვს ხორცით სავაჭრო საქალაქო დუქნის გამართვა. კომისიამ პოლიციის მე-9 ნაწილში დუქნის გამართვა უკვე გადასწყვიტა, მაგრამ ჯერ-ჯერობით დუქნისათვის მოხერხებული სადგომი ვერ უნახავთ.

◆ **იმპერატორ ნიკოლოოზ პირველის** ამიერ-კავკასიის საქალებო ინსტიტუტში წელს სწავლა დაამთავრა 25 ქალმა, მათ შორის ქართველები არიან: ავალიანი ეკატირინე, ბერიძე ლიუდმილა, ჯანდიერი თამარ, ჯორჯაძე ნინო, ყუბანეიშვილი ლიუდმილა, წითლანაძე ოლგა, ერისთავი მარიამ. ლიუდმილა ბერიძემ მიიღომ ჯილდოდ ვერცხლის მედალი, ლიუდმილა ყუბანეიშვილმა—წიგნები.

◆ 30 მაისს ბორჩალოს მაზრის სოფელ ვარანცოვკაში **სეტყვა მოვიდა**, რომელიც ოცი წუთი მოდიოდა. თითო მარცვალი სეტყვა მტრედის კვერცხის ტოლა იყო. გარდა იმისა, რომ სულ გაანადგურა მიწის და ხეხილის მოსავალი, მრავალი ფრინველი დახოცა და ცხვრებიც კი. ზარალი ძალიან დიდია.

◆ ამიერ კავკასიის რკინის გზების უფროსმა ივანოვსკიმ ნება დართო, გადაეცეს ტფილისის საშუალო სასწავლებლების მოწაფეთა განკარგულებაში **საკუთარი ვაგონი** საძილოდ მოწყობილი. როგორც ვიცით, ეს ყმაწვილები სამეცნიერო აზრით აპირებენ მოსკოვში და სხვა ქალაქებში გამგზავრებას, რათა ღირს-შესანიშნავი ადგილები დაათვალიერონ.

◆ ტფილისის მეეტლეებმა საჩივარი შეიტანეს საბჭოში კომისიისაგან **დადგენილ ნიხრის** გამო მეეტლეებისათვის და სთხოვენ საბჭოს, რომ ქალაქი რამდენიმე ნაწილად დაჰყონ და ისე დააწესონ ნიხრი ეტლებზე; ხოლო თითო წასასწვლელი ფასი არ უნდა იყოს 40 კაპ. ნაკლები და 80 კ. მეტი ქალაქის სხვა-და-სხვა ნაწილებში.

◆ ჩვენ გვატყობინებენ, რომ ახლო მომავალში ამიერ კავკასიის რკინის გზების სამმართველო აწესებს მეორე წყვილს **ჩქარი მატარებლებისას** ტფილისსა და ბაქოს შუა. ეს ახალი მატარებლები მოწყობილი იქნება, როგორც მატარებლები „ექსპრესსი“. მატარებელში იქნება სამზარეულო, სასადილო და საწოლი ადგილები. ტფილისიდან მატარებელი გავა პარასკევობით, ხოლო ბაქოდან—სამშაბათობით. საწოლის მოსაწყობად მგზავრი გადაიხდის ერთ მანეთს. მგზავრებს შეუძლიანთ უსასყიდლოდ ისარგებლონ გაზეთებით, გზის მაჩვენებლით და სხვ. ბუფეტებში საჭმელებზე დაწესებული იქნება განსაკუთრებით დამტკიცებული ნიხრი.

◆ სამედიცინო დეპარტამენტმა განუმარტა საექიმო გამგეობათ, რომ მაზრის ექიმები, გარდა თავის პირდაპირის მოვალეობისა, ვალდებულნი არიან, მიიღონ ზომები იმ სენის მოსასპობლად, რომელსაც ისინი მაზრაში სიარულის დროს აღმოაჩენენ.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ შეუკვეთა ქალაქ რიგაში ერთ ფირმას, რომ ქალაქის ხმოსანთა მომავალ არჩევნებისათვის გამოგზავნოს ტფილისში 150,000 საარჩევანო კენჭი. კენჭები ფარფოროსგან არის გაკეთებული და ქალაქისაგან მოთხოვნილი რიცხვი კენჭებისა ჯდება 250 მან.

◆ „სევერნი ნომრებში“ მცხოვრებმა კუზმინისამ განაცხადა 5 ივნისს პოლიციის მე-3 ნაწილში, რომ მას ვიღაც ბოროტ-განმზრახველმა ნომრიდან მოჰპარა კონვერტი, რომელშიაც ჰქონდა ბარათი და ხელწერილი ფარსადანოვისა, რომ 9,000 მან. ჰმართებს. ქურდი ვერ აღმოუჩენიათ და არც ეჭვი აქვთ ვისმეზე. გამოძიება სწარმოებს.

ქუთაისის ახალი ამბები

∽ ქალაქის გამგეობამ უკვე შეადგინა და გამოაცხადა სია იმ ხმოსან კანდიდატებისა რომელნიც დასახელებულნი არიან ბარათებით ამომრჩევლების მიერ. მათი რიცხვი 176-ია. მომეტებული ნაწილი ინტელიგენტთაგანია დასახელებული.

∽ ქუთათური ყასბები გვემუქრებოდნენ, რომ თუ ხორცის ნიხრი დაუკლეით, უხორცოთ დაგტოვებთო და კიდეც აასრულეს მუქარა. დღეს მესამე დღეა, რომ ხორცი არ იშოვება ქუთაისში. თუმცა ზოგიერთ ყასაბს ჩამოეკიდა რამდენიმე ნაჭერი ხორცი, მაგრამ ეს ნაჭრები ხორცს არ ჰგავდა და არც ხორცის ფერი ჰქონდა: შავი, გამხდარი, ერთი სიტყვით, გამოუსადეგარი. მართალია, ხორცის ნიხრი ერთის კაპეიკით იყო დაკლებული, მაგრამ ამ ნიხრით არც ერთი ყასაბი ხორცს არა ჰყიდდა. იგი ძველებურად 11 კაპ. იღებდა. თუ გაახსენებდით, რომ ნიხრი დაკლებულიაო, მაშინვე მოგიგებდათ, რომ ეგ ხბოს ხორცია მაგ ფასად და არა ძროხისა ან ხარისაო.

∽ 2 ივნისს ებრაელთა უბანში ცეცხლი გაუჩნდა და დაიწვა ებრაელების ხანანაშვილებისეული სამ-სართულიან სახლი, რომელიც ამ რამდენისამე წლის წინათ ქუთაისისავე მცხოვრებმა ნესტორ ქვარიანმა ბანკისაგან საჯარო ვაჭრობით დაინარჩუნა. ქვარიანსა და ებრაელებს შორის ამ სახლის შესახებ დავა იყო ატეხილი; პირველმა ქუთაისის ოლქის სასამართლოში უკვე მოიგო საქმე, ხოლო ხანანაშვილებმა საქმე ტფილისის სამოსამართლო პალატაში გადაიტანეს, სადაც ამ მოკლე ხანში უნდა გარჩეულიყო. მიზეზი დაწვისა არ იციან. სახლი დაზღვეულია. გამოძიება სწარმოებს.

∽ 4 ივნისს ქუთაისის გუბერნატორის სამმართველოს მმართველი, ბ-ნი ჩერნოვი, რომელიც ორენბურგში იქმნა გადაყვანილი, უკვე გაემგზავრა ახალს ადგილზე. იგი რიონის სადგურამდინ გააცილეს ქუთაისის გუბერნატორმა, ქუთაისის შეციხოვნეთა უფროსმა, სახელმწიფო ქონებათა გამგემ ბ-ნმა ზელენინმა, გუბერნატორის სამმართველოს მმართველებმა, თანამოსამსახურეებმა, ნაცნობებმა და მეგობრებმა. რიონის სადგურზე მრავალი გრძნობით სავსე სიტყვა უთხრეს.

ტფილისის «მამათა» დარბაზიდან

ხუთ ივნისს ქალაქის ფხიზელ და მზრუნველ „მამებს“ ხანგრძლივი სხდომა ჰქონდათ—მთელი ორ საათ-ნახევარი ბჭობდნენ ქალაქის საქმეებზე და ბევრი რამ „საყურადღებო და მძიმე“ საკითხი გადასწყვიტეს: ფეხზე წამოდგნენ გამგეობის განსვენებულ წევრის ხოსროევის პატივსაცემლად და ერთხმად ექვსასი მანეთი გადასდვეს მის დასაფლავების ხარჯის დასაფარავად, უარი უთხრეს ყველას, ვინც კი დასაფასებელ გადასახადის შემცირებას თხოულობდა, შემწეობა მისცეს ქალაქის თვით-მმართველობის ყოფილ მოსამსახურეთ—რატიაშვილს 60 მან. (12 წელიწადი უმსახურნია), ოდიკაშვილს 65 მ. (13 წელიწადი უმსახურნია), შავერდოვს 175 მ., უარი უთხრეს შემწეობაზე კოლიბიხინს. ერთის სიტყვით, 5 ივნისს მეტის, უკეთ ვსთქვათ გადამეტებულის სიჩქარით მიდიოდა „საქმეების“ განხილვა.

პატარა კამათი გამოიწვია ეპისკოპოს კირიონის თხოვნამ—დავვითმეთ ვერაზე ბეთანიის მონასტრისათვის პატარა ადგილი, რათა ხსენებულ მონასტრის ბერებს შეეძლოთ იქ დგომა და ქალაქში მომავალ მენახშირეებთან და მეტივეებთან რელიგიურ-ზნეობრივ საუბრების გამართვაო. გამგეობის წინადადება იყო ოთხმოც ოთხ-კუთხ საჟენის დათმობა ამ მიზნისათვის, მაგრამ საბჭომ ერთხმად (გარდა ხმ. სულხანიშვილისა) უარ-ჰყო გამგეობის წინადადება: ქალაქს ისედაც ცოტა ადგილები აქვს. და გარდა ამისა, ბერების ვერაზე დგომის მიზეზით ადგილს, რომელიც ერთობ ძვირად დაუჯდა ქალაქს, შემოსავალი შეუმცირდება, რადგან სამიკიტნო დუქნებს ვერ გავხსნითო. გ. თუმანოვის წინადადება იყო საკითხის განხილვის გადადება, რადგანო დიდი ცვლილება მოხდა საქართველოს სასულიერო მთავრობის წარმომადგენელთა შორისო, სხვათა შორის კირიონიც გადაყვანილია რუსეთში და იქნება წინადადებას ეხლა სხვა ხასიათი მიეცესო. საბჭო ამის წინააღმდეგიც შეიქმნა.

საბჭომ უკამათოდ მიიღო პუშკინის სახელობის ბიბლიოთეკის შენობის ხარჯთ-აღრიცხვა—8000 მანეთი. შენობა, როგორც ვიცით, ალექსანდრეს ბაღში იქნება.

მიღებულ იქმნა აგრეთვე „წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების“ გამგეობის წინადადება—ერთ-ერთ ქუჩას განსვენებულ არქეოლოგისა და ისტორიკოსის ბროსეს სახელი დაერქვასო.

მოკლე კამათი გამოიწვია ქალაქის ლომბარდის დირექტორის თხოვნამ—გამგზავნეთ მოსკოვში რუსეთის იმპერიის ყველა საქალაქო ლომბარდების საზოგადო კრებაზე საქმის უკეთ შესასწავლადო. მკითხველს ეხსომება, რომ ამას წინად ასეთსავე გაგზავნას თხოულობდა ბეითალი კანცელმახერი. მაშინ გაგზავნის დიდი წინააღმდეგი იყო კოჩორიანცი—რა საჭიროა ბეითლის გაგზავნა, კრების ანგარიშები დაიბეჭდება და ბეითალიც ამ დაბეჭდილ მასალის საშუალებით გაეცნოს საგანსო. ეხლა-კი იგივე კოჩორიანცი ამტკიცებდა, რომ აუცილებელი საჭიროებაა გავგზავნოთ ლომბარდის დირექტორიო. ხმოსანის ასეთი წაჯექ-უკუჯექობა იქვე აღნიშნეს, მაგრამ თანაც დაუმატეს—ეს კოჩორიანცის ბუნებრივი ავადმყოფობა არისო.

ჯერი მიდგა ხარჯთ-აღრიცხვაზე. პირველად წაიკითხეს გუბერნიის საქალაქო საქმეთა საკრებულოს დადგენილება 1901 წლის ხარჯთ-აღრიცხვის უდროოდ წარმოდგენის შესახებ. ხმოსნებმა ერთხმად იგრიალეს—სრული თანახმა ვართ საკრებულოსიო. თუმცა განსახილველ საქმეთა სიაში მოქცეული იყო 1902 წლის ხარჯთ-აღრიცხვის პროექტი, მაგრამ პროექტი ჯერ დაუბეჭდელია და ხმოსნები მას არ გასცნობიან. ამ გარემოებამ „საქმიან მამათა“ შორის დიდი გულის წრომა გამოიწვია, იმ „საქმიან მამათა“ შორის, რომელთაც მეხუთედ ძლივს შეადგინეს კანონიერი სხდომა საბჭოსი. რომ იტყვიან, ფერი-ფერსა, მადლი-ღმერთსაო, ჩვენ გამგეობასა და საბჭოზეა ნათქვამი, თუმცა არ. ბაბოვი სცდილობს ამ ბოლო დროს დაამტკიცოს, რომ ყველაფერში დამნაშავე ეხლანდელი გამგეობა არისო. საბრალმდებლო სიტყვა ბაბოვმა დაათავა შემდეგ პატეტიურ სიტყვებით—ეხლანდელ გამგეობის მიზეზით ჩვენ თვით-მმართველობა აღარ გვაქვსო.

თვით-მმართველობა კაი ხანია არ არის, მაგრამ ამის მიზეზი შესტაკოვი, ჩერქეზიშვილი და ენფიანჯიანცი კი არ არის, არამედ ეხლანდელ თვით-მმართველობის წესდება და ჩვენი მსხვილ-ცენზიანი ხმოსნები, რომელთაც იმდენადვე ეინტერესებათ ქალაქის ნამდვილი ინტერესები, რამდენად ჩვენ შარშანდელი თოვლი.

ფოთის ქალაქის საბჭო

4 ივნისის სხდომა

თავმჯდომარემ ნ. ი. ნიკოლაძემ წაუკითხა კრებას კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის ქაღალდი იმის შესახებ, რომ ფოთში ნება დართულია, დედათა პროგიმნაზია იქმნას გახსნილი. მზრუნველი სთხოვდა საბჭოს ხსენებულ სასწავლებლისათვის სამზრუნველო რჩევის წევრები აერჩია და საბჭომ სიამოვნებით შეასრულა ეს წინადადება.

საბჭომ მოისმინა და ერთხმად მიიღო ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის წინადადება და ქუთაისისავე საგუბერნიო საქალაქო საქმეთა საკრებულოს დადგენება მიმდინარე წლის ხარჯთაღრიცხვის შესახებ, რომელიც მალე იქნება დაბეჭდილი.

თავმჯდომარემ წაუკითხა კრებას ოქმი ნავთსადგურის შიდა აუზის მუშაობის გათავების შესახებ. როგორც ოქმიდან სჩანს, შიდა აუზში ნამუშავარი მოიჯარადრეთაგან პირველი კანტრაქ-

ტის ძალით, გაკეთებულია კარგად და ტეხნიკურის მხრით შემოწმებულია: ნავთ-სადგურის ინჟენერის ე. გ. მეიერის, ქუთაისის გუბერნიის ინჟენერის ა. ა. შტემლერის, ქალაქის თავის ნ. ი. ნიკოლაძის, ქალაქის ინჟენერის მ. ა. არცმოვიჩის და საპორტო კომისიის წევრების მიერ მოიჯარადრეთა რწმუნებულს გ. ა. სკარჟინსკის თანადასწრებით.

ყველა ნამუშავარი პორტის შიდა აუზში კომისიას უცვნია რიგზე და ვადაზე გაკეთებულად. დაუსრულებელია მხოლოდ მიწის თხრა შიდა აუზის № 14 პროფილი № 24 პროფილამდე, რომელიც ჯერ არ იქნება გათავებული იმის გამო, რომ შიდა აუზის მოედანი განიერდება და გემების მისადგომი ადგილიც გრძელდება. საბჭომ დაადგინა, პირველი კანტრაქტის ძალით ანგარიში გაუსწორონ ნავთ-სადგურის მოიჯარადრეს და შესრულებული საქმე ქალაქმა ჩაიბაროს.

საბჭომ განიხილა მოხსენება გამგეობისა იმის შესახე, რომ ბაზრის მოედანზე სამი ქვის მაღაზია იქნას აშენებული და მიხაილოვის ბულვარზე ორი. კრებამ განიხილა ზემოხსენებულ შენობების ასაგებად შედგარი ხარჯთ-აღრიცხვა ქალაქის ინჟენერისა, მოიწონა იგი და დაადგინა ამ მაღაზიების აშენება.

საბჭომ განიხილა გეგმა და ხარჯთ-აღრიცხვა ქალაქის სასწავლებელთან სახელოსნო განყოფილების შენობისა. სახელოსნოს შენობის აგება, როგორც გამოანგარიშებულია, დაახლოვებით დაჯდება 15.000 მანეთამდის. ამ შენობაში მოთავსებული იქნება საჩილინგრო, სამჭედლო, სადურგლო განყოფილებანი და ხელოსნის ბინა. საბჭო ერთ ხმად დაეთანხმა გამგეობის წინადადებას და მასვე მიანდო შენობის აგება.

საბჭომ მოისმინა მეორე მოხსენება გამგეობისა იმის შესახებ, რომ ის შენობა, სადაც „ბრაუმის" მანქანის შემწეობით წყალი იწმინდება, უკვე დამთავრდა და წყალზე ბაჟია დასადებიო. საბჭომ დაადგინა დაედვას ბოჭკა წყალს 1. კაპ. ბაჟი.

შემდეგ თავმჯდომარემ მოახსენა კრებას, რომ კომისიამ, რომელიც არჩეული იყო ვაჟთა გიმნაზიის შენობის ასაგებ ადგილის ასარჩევად, დღემდის უთანხმოებისა გამო ვერ აარჩია ადგილი. ვთხოვ საბჭოს, იმან აარჩიოს ის ადგილი, სადაც შენობა უნდა აშენდესო. საბჭომ ამაზედ კენჭის ყრით ის აზრი გამოსთქვა, რომ მეგრელიის მოედანზე იქნას აშენებული მომავალ გიმნაზიის შენობაო.

ბოლოს საბჭომ განიხილა განცხადება ქალაქის სკოლის მასწავლებლის ხმოსნის კ. ე. ინასარიძისა იმის შესახებ, რომ ქალაქის სკოლაში გერმანული და ფრანგულ ენების სწავლება იქმნას შემოღებული. საბჭომ სიამოვნებით მიიღო ეს წინადადება, მხოლოდ მისი სისრულეში მოყვანა გადასდვა იმ დროსთვის, როდესაც სამოსწავლო ნაწილის მომწყობი კომისია გამოარკვევს, რომელი ევროპიული ენები უნდა იქმნას ხსენებულ სასწავლებლებში შემოღებული.

ი. იანეთელი.

ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის რწმუნებულთა მორიგი კრება 1902 წელს

(1-ლი ივნისის სხდომა)

კრება გაიხსნა 12 საათზე გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თავმჯდომარეობით. წაკითხულ იქმნა წინა დღის კრების ოქმი, რომელიც დიდი დავისა და შესწორების შემდეგ დამტკიცდა. წაკითხულ იქნა ზედამხედველი კომიტეტის მოხსენება, რომელშიაც ნაჩვენებია ბანკის საქმეების დაქვეითების მიზეზები, როგორც: ა) ბანკის საოპერაციო რაიონის სივიწროვე (მხოლოდ ქუთაისის და ტფილისის გუბერნია), ბ) იმ შეღავათების უქონლობა, რომელებითაც სარგებლობენ სხვა ბანკები; შემდეგ ჩამოთვლილია ის საშუალებანი, რომლითაც შეეძლება ბანკის საქმეების გამობრუნება; როგორც: ა) გირავნობის ფურცლების $^1/_2{}^0/_0$ შეცვლილ იქნეს $^1/_4{}^0/_0$; ბ) თავნი ვალის ყოველწლიური შესატანი $1^0/_0$ შეიცვალოს $^3/_4{}^0/_0$; გ) ვადიანი გირავნობის ფურცლები შეცვლილ იქნეს უვადოთ; დ) მამულების სხვა ბანკიდან გადმომგირავებელთ, რომელთაც ნახევარი წლის გადასახადი უკვე შეტანილი აქვთ, ნახევარი წლის შემოსატანი ხელმეორედ ნულარ გადახდებათ; ე) ტფილისში ბანკმა იყოლიოს აგენტი და ვ) ხელ-ახალი შუამდგომლობა აღიძრას მთავრობასთან, რისთვისაც ამორჩეულ იქნეს დეპუტაცია.

გამგეობის თავმჯდომარე: საოპერაციო რაიონის გაფართოვების შესახებ შუამდგომლობა არ იქნება შეწყნარებული; ამის შესახებ მე უკვე მქონდა სამინისტროში ლაპარაკი, მაგრამ უარს ამბობენ.

დ. ა. ლორთქიფანიძე (თავმჯდომარეს): საინტერესოა ვიცოდეთ, რატომ არ იწყნარებენ ამ შუამდგომლობას.

თავმჯდომარე (გამგეობის): ეგ სამინისტრომ თვითონ იცის.

დ. ა. ლორთქიფანიძე უკმაყოფილებას უცხადებს გამგეობის თავმჯდომარეს ასეთი მკვახე პასუხისათვის.

ნ. დ. ერისთავი წინააღმდეგია რაიონის გაფართოვებისა განჯისა და ერევნის გუბერნიებით, რადგან მთავრობა ნებას არ მოგვცემსო; წინააღმდეგია გირავნობის ფურცლების $^1/_2{}^0/_0$-ის $^1/_4{}^0/_0$-ით შეცვლისა: ამით საზოგადო საჭირო თანხა შემცირდებაო; წინააღმდეგია ტფილისში აგენტის დანიშვნისაც: ტფილისის გუბერნიიდან მაინც არავინ გადმოვა აქეთ და ქუთათურებისათვის კი ტფილისში აგენტის დანიშვნა რა საჭიროაო.

მასვე ეთანხმება გამგეობის თავმჯდომარე და დირექტორი ბ. ჯაიანი.

თ. დ. გ. წულუკიძე $^1/_2{}^0/_0$-ის $^1/_4{}^0/_0$-ად შეცვლის მომხრეა.

ს. მ. ამირაჯიბი. ${}^0/_0{}^0/_0$-ის შემცირება გამოიწვევს კრედიტის გაიაფებას, უკანასკნელი კი—მსესხებელთა რიცხვის გამრავლებას; ასე რომ, თუ პირველ წელს არა, შემდეგში ბანკს უფრო მეტი მოგება დარჩება. მე ვფიქრობ საჭიროა აღიძრას შუამდგომლობა $1^0/_0$-ის $^3/_4{}^0/_0$-ით შეცვლის შესახებ.

ხმები: ამის შესახებ შუამდგომლობა არაა საჭირო.

ნ. დ. ერისთავი ამტკიცებს ამასვე.

გ. ფ. ზდანოვიჩი: ყოველწლიური შემოსატანი $1^0/_0$ იძლევა 30,000—40,000 მან. რაც გადადებულია საზოგადო საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად; თუ $1^0/_0$ $^3/_4{}^0/_0$ გავხადეთ, მაშინ ყოველ წლივ შემოვა 20,000—40,000 მან., ე. ი. 10,000 მანეთს დავკარგავთ ყოველ წლივ; თუ გვინა, ეს 10,000 მანეთი არ დაგვეკარგოს, მაშინ ყოველ წლივ უნდა გავცეთ 1,000,000 მანეთი სესხი. თუ ამ რაოდენობის გაცემას ვერ შევიძლებთ, მაშინ უეჭველია წაგებაც, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ ჩვენ მხოლოდ 500,000 მანეთის გაცემა შეგვიძლია ჯერჯერობით. ამისათვის მე არ შემიძლია დავეთანხმო ზედამხედველ კომიტეტის წინადადებას.

ბ. ე. თაყაიშვილი: ბატონებო! ჯერ ვიშუამდგომლოთ იმის შესახებ, რომ მეტი სესხის გაცემის ნება მოგვცენ.

თ. კ. ბ. ლორთქიფანიძე: მე მგონი, ის აჯობებს, ჩვენც იმ უფლებათა მოპოვებას ვეცადოთ, რითაც სხვა ბანკები სარგებლობენ; ისეთ უფლებებს კი, რაც სხვა ბანკებს არ აქვთ, ტყუილად ნუ ვითხოვთ. რაც შეეხება ჩვენი ბანკის საოპერაციო რაიონის გაფართოვებას, უნდა შემდეგი მოგახსენოთ: როგორც ვიცი, სამინისტრო ძვირათ აძლევს ნებას, რომ ერთსა და იმავე რაიონში ორმა ბანკმა იმოქმედოს; ამის მიზეზად კი იმას ასახელებენ, რომ ორმა ბანკმა ერთმანეთს ქიშპობა არ გაუწიონ და ერთმანეთი არ დალუპონ; გადმოგირავებული მამულების ნახევარი წლის სარგებლიდან განთავისუფლებაც უკანონოდ მიმაჩნია და, მგონი, არც კი მოგვცემენ ამის ნებას. დაბოლოს ტფილისში აგენტის დანიშვნის შესახებ უნდა მოგახსენოთ, რომ ეს ტყუილად ხარჯს თუ მოგვიმატებს, თორემ ვერას შეგვძენს: ტფილისის ბანკი ბევრათ უკეთეს პირობებშია, მაგრამ მასაც არა ჰყავს ქუთაისში აგენტი; ტფილისის გუბერნიის მსესხებელთ ჩვენ აქეთ ვერ გამოვიტყუილებთ და ქუთაისის გუბერნიისას კი, თუ ტფილისისაკენ პირი ჰქნეს, ჩვენი აგენტიც რომ დახვდეს იქ, მაინც ვერ დააბრუნებს. არამც თუ ტფილისში, ჩემი ფიქრით, ბათომშიაც მეტი ბარგია აგენტის ყოლა.

დ. ნ. ბაქრაძე: ბატონებო! კომერციული მხრით რომ შევხედოთ საქმეს, ჩვენ არავითარი საბუთი არა გვაქვს ვიფიქროთ მეტოქეობა გავუწიოთ ტფილისის ბანკს, რომელიც ჩვენ ბანკზე ბევრათ მეტს შეღავათს აძლევს მსესხებელთ; და თუ ზნეობრივის მხრით შევხედავთ, ჩვენ ნება არა გვაქვს მეტოქეობა გავუწიოთ იმ ბანკს, რომლის ინტერესები ჩვენი ბანკის ინტერესებთანაა შეკავშირებული.

რაც შეეხება თავნი ვალის $1^0/_0$-ის $^3/_4{}^0/_0$-ად შეცვლას იმ მიზნით, რომ მეტი სარგებლობა გვექმნეს, ეგ ილიუზიაა. ვინ იცის, რამდენს გავცემთ სესხს, რომ ის 10,000 მანეთი დავიბრუნოთ, რასაც $^1/_4{}^0/_0$ გამოკლებით ვკარგავთ!

დ. ა. ნაზაროვი: ჯერ კრედიტის მომატებისა და რაიონის გაფართოების შესახებ ვიშუამდგომლოთ და მერმე ${}^0/_0{}^0/_0$ დავუკლოთ.

გ. ფ. ზდანოვიჩი: ჩვენ გვქონდა 500,000 მანეთის გაცემის ნება, აქედან გავეცით 400,000 მანეთი; 100,000 მანეთი კიდევ დაგვრჩა; ამიტომ ათი წელიწადია საჭირო, რომ ჩვენ ერთი წლის დანაკარგი 10,000 მანეთი დავიბრუნოთ; ათი წლის განმავლობაში კი ჩვენ დავკარგავთ 90,000 მანეთს და ასეთი დანაკარგი როდის უნდა შევივსოთ!

თ. მ. ფაღავა: ჩვენს ბანკს მამულები ხელიდან ეცლება და ტფილისის ბანკში გადადის, რადგან იქ უკეთესი პირობებია მსესხებელთათვის. თუ ჩვენც ტფილისის ბანკის პირობები შევიძინეთ, ჩვენგან გადასული მამულებიც უკანვე დაგვიბრუნდება და ახალიც ჩვენს ხელში იქნება; ასე რომ იმდენი იქნება სესხის აღების მსურველი, რომ რაიონის გაფართოვებაც აღარ დაგვჭირდება. მასთან ისიც უნდა ვიქონიოთ სახეში, რომ ბანკის მიზანია საზოგადოების დახმარება, ხელის გამართვა და არა გაღატაკება და დალუპვა. (ორატორს ტაშის ცემით აჯილდოვებენ).

გ. ფ. ზდანოვიჩი: ბატონებო! სარგებლის შემცირება და მომატება სახუმარო საქმე არაა: მარტო ლაპარაკი და ეფექტები არ კმარა; საჭიროა ციფრებით დამტკიცდეს, რა შედეგი მოჰყვება სარგებლის შემცირებას. მომავალ 1903 წლის განმავლობაში ბანკი დაჰკარგავს 10,000 მანეთს სარგებლის შემცირებით. თ. ფაღავა ბრძანებს, 1.000000 მანეთის კრედიტი კიდევ აქვს ბანკს, ესე იგი სულ 1.500.000 მანეთი; მაშ შემოსავალიც გასამკეცდება მისი ანგარიშით; მაგრამ ამავე დროს $^1/_4{}^0/_0$ მოკლებით ყოველ წლივ 30,000 მანეთი მოგვაკლდება; ასე რომ ამის შესავსებლათ დაგვჭირდება კიდევ ახალი სესხის გაცემა პირველ წელში 3,000,000 მანეთისა. ამიტომ, ჩემი ფიქრით, საქმეს ხეირიანი ჩაფიქრება და ყოველი მხრით გაზომვა უნდა და არა მოუფიქრებლად ორატორის ტაშის ცემით დაჯილდოვება (საზოგადოება მასაც ტაშის ცემით აჯილდოვებს).

ბ. ე. თაყაიშვილი: პრინციპიალურად მე თანახმა ვარ სარგებლის შემცირებისა, მაგრამ ჯერ იმის შესახებ უნდა ვიშუამდგომლოთ, რომ მეტი სესხის გაცემის ნება მოგვეცეს.

მოხსენება სარგებლის შემცირების შესახებ გადადებულ იქმნა ხმის უმეტესობით მომავალ საზოგადო კრებამდის. სხდომა შესწყდა 15 წამით.

სხდომის განახლების შემდეგ თავმჯდომარემ წამოაყენა ახალი კითხვა: ვადიანი გირავნობის ფურცლების უვადოთ შეცვლა (ОБМѢН.).

საზოგადოება უკვე გადაწყვეტილ კითხვას სარგებლის დაკლების შესახებ უბრუნდება; შეიქნება ხმაურობა, ყვირილი: ჩვენ ეს კითხვა არ გადაგვიწყვეტია, ხელ-ახლად განვიხილოთ; რუსულად ნალაპარაკევი ჩვენ ვერ გავიგეთ და მოვტყუილდითო. თავმჯდომარე აწკარუნებს ზარს, სთხოვს ყველას დამშვიდებას, მაგრამ პრა სცხრებიან.

ა. თ. ნანეიშვილი სთხოვს თავმჯდომარეს შემდეგი კითხვა წამოაყენოს, რადგან სარგებლის შემცირების შესახები კითხვა უკვე გადაწყდაო.

თავმჯდომარე სთხოვს საზოგადოებას, დამშვიდდით და, თუ გნებავთ, ხვალ ისევ წამოვაყენებ გასარჩევად მაგ კითხვასო. საზოგადოება მშვიდდება.

თავმჯდომარე: თუ ვისმე სათქმელი გაქვთ რამე ზედამხედველ კომიტეტისაგან წამოყენებული კითხვის შესახებ—(ვადიანი გირავნობის ფურცლების უვადოთ შეცვლა)—გვითხარით და ჩაგნიშნავთ სიაში, რომ ყველამ რიგ-რიგად ილაპარაკოს.

ი. ჰ. ჯაიანი: ეს კითხვა კონვერსიის კითხვასთანაა შეკავშირებული და, როგორც უკანასკნელი, ესეც ძლიერ სასარგებლო იქნება.

კრებამ ერთხმად მიიღო ეს კითხვა.

შემდეგი კითხვა: სხვა ბანკიდან ადგილების გადმომგირავებელთა განთავისუფლება ნახევარი წლის სარგებლიდან.

ამ კითხვამ დიდი კამათი გამოიწვია; ზოგი სულ წინააღმდეგი იყო მისა, ზოგი მომხრე, ზოგიც იმას ამბობდა, რადგან ეს კითხვა შეკავშირებულია სარგებლის დაკლებასთან, ამიტომ თხოულობენ ამ კითხვის გადადებას იმ დრომდე, სანამ გამოირკვეოდა პირველი კითხვა (სარგებლის შემცირების შესახებ).

გამგეობის თავმჯდომარე ურჩევს საზოგადოებას, ამორჩეულ იქმნეს დეპუტაცია პეტერბურში გასაგზავნად შუამდგომლობისათვის.

საზოგადოებამ მიიღო გამგეობის თავმჯდომარის წინადადება, რომლის სისრულეში მოყვანა გადაიდო შემდეგი დღისათვის.

შემდეგ კრებამ უარჰყო ტფილისში აგენტის დანიშვნა, რადგან ეს ხარჯის მეტს სარგებლობას არ მიიტანსო.

კრება გადაიდო 2 ივნისის დილის 12 საათისათვის.

დონ-ვალიანი

წერილი კახეთიდან

(კახეთი.—ბუნების სიმდიდრე და ხალხის სიღარიბე.—გურია და კახეთი.—თელავის სამკითხველო და თეატრი).

ვინ არ იცის, რა შეუდარებელია კახეთი თავისი სილამაზით?—რა სიამოვნებას გრძნობს მგზავრი, როდესაც ამოივაკებს გომბორის აღმართს, აღტაცებით უყურებს დიად ბუნებას; ვერა ძღება იგი მისი ყურებით, სილამაზით. ძნელად თუ მოიძებნება სადმე ასეთი ყოველისფრით შემკული და შეზავებული მხარე, როგორიც კახეთია. შესანიშნავი სავენახე ადგილები, მშვენიერი წყლები, ხშირი და დიდი ტყეები,—ყველა ეს კახეთის ბუნების სიმდიდრეს შეადგენს. ახლა ვიკითხოთ: ასეთივე მდიდარია კახელი, ისეთივე ბედნიერია იგი, როგორც მოსალოდნელია?...

ჩვენს მწერლობაში არა ერთხელ აღუნიშნავთ და ეხლაც უნდა აღვნიშნოთ, რომ კახეთი ეკონომიურად მეტად ჩამორჩენილი კუთხეა ჩვენის სამშობლოსი. რამდენადაც ბუნება კახეთისა მდიდარია, იმდენად ხალხი ქონებრივად დაქვეითებულია, რამდენადაც ბუნება სავსეა სიმშვენიერით და სილამაზით, იმდენად ხალხი ცრუ-მორწმუნეობის და უმეცრების მორევში სცურავს. რათა უფრო ნათლად გავითვალისწინოთ კახეთის ჩამორჩენა და კახელ გლეხთა უმეცრება, საჭიროა შევადაროთ იგი საქართველოს უფრო დაწინაურებულ კუთხეებს, მაგ., გურიასა და იმერეთს.

რა სიამოვნებას ჰგრძნობს კაცი გურიაში მოგზაურობის დროს, ამას მხოლოდ ის წარმოიდგენს, ვისაც უმოგზაურნია გურიის სოფლებში და ცოტად თუ ბევრად დაჰკვირვებია ხალხის ცხოვრებას.

გურიაში ძვირად შეხვდებით იმისთანა „მოზრდილა" სოფელს, სადაც სკოლა და ამასთან წიგნთ-საცავი, ან სამკითხველო არ არსებობდეს. სკოლებში შეგირდების ტევა არ არის, სამკითხველოები ხალხით სავსეა. გურული თვალ-ყურს ადევნებს საინტერესო მოვლენას, სცდილობს, რამდენადაც დღევანდელი გარემოება ხელს უწყობს, მონაწილეობა მიიღოს საერთო საქმეებში და კიდევაც მოქმედობს აქტიურად. წოდებრივ განცალკევების ხანა გურია-იმერეთმა თითქმის განვლო კიდეც.

სამწუხაროდ, სხვა სურათს წარმოადგენს კახეთი ამ მხრივ. კახეთში დამოკიდებულება თავადაზნაურთა და გლეხთა შორის ისევ ძველებურია. ფეოდალიზმი ჯერ კიდევ აქ სრულიად არ დარღვეულა და ვინ იცის, როდის დაადგება კახეთი იმ გზას, რომელსაც უკვე ადგია გურია-იმერეთი. რას უნდა მივაწეროთ ის სამწუხარო მოვლენა, რომ კახეთი ასე ჩამორჩა? ნუ თუ იმას,—როგორც ზოგიერთებს ჰგონიათ,—ვითომც კახელი ბუნებით კონსერვატორია? სრულიადაც არა. კახელს გლეხს, როგორც გურულს, ან იმერელს, მშვენიერად შეუძლიან შეითვისოს კულტურა, დაადგეს მოქალაქობრივობის გზას, ხოლო თუ აქამდე ვერ მოახერხა ესა, ერთი უმთავრესი მიზეზი ის არის, რომ კახეთი უგზოობისა გამო მოწყვეტილია დანარჩენ საქართველოს იმ ადგილებს, სადაც გაცხოველებული აღებ-მიცემობაა როგორც საქონლისა, ისე აზრისა. უგზოობის წყალობით კახეთს მეტოქეობაც კი ვერ გაუწევია ბაზარზე იმ დაშორებულ კუთხეებისათვის, საცად ღირსებითაც და რაოდენობითაც ბევრად უფრო ნაკლები სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოები მოჰყავთ. ამიტომ კახეთისათვის რკინის გზის გაყვანა აუცილებელ საჭიროებას შეადგენს.

საგულისხმოა კახეთისათვის ის გარემოებაც, რომ ადგილობრივი ინტელიგენცია ნაკლებად ზრუნავს ხალხში სინათლის მოსაფენად.

გურია-იმერეთში ინტელიგენციამ უკვე დააჩინა კვალი ხალხის ცხოვრებას, კახეთში-კი ამ მხრივ არა გაკეთებულა-რა ჯერ თვალსაჩინო.

შორს რომ არ წავიდეთ, მაგალითისთვის საკმაოა თელავიც, ეს ცენტრი კახეთისა. ყოველი საზოგადო საქმე კახეთის ამ სატახტო ქალაქში ძლიერ შეფერხებულია. ერთად-ერთი წიგნთ-საცავ-სამკითხველო ისე მოუწყობელი და უპატრონოდ მიტოვებულია, რომ ძლივს-და ჰლაფავს სულს და, თუ ასე გასტანა საქმემ, მალე სულსაც განუტევებს. თეატრი?... საწყალი „თელავის თეატრი“ წარმოადგენს ერთს მინგრეულ-მონგრეულ შენობას ქალაქს გარედ. ნუ თუ ვერ მოახერხეს თელაველებმა, უკეთესი შენობა ეშოვათ სათეატროდ? მაგრამ შენობას კიდევ ჯანი გავარდეს, რომ წარმოდგენები მაინც ხშირად იმართებოდეს ხოლმე. კარგი ხანია მსახიობნი და თელავის თეატრი ერთმანეთს შემოსწყრნენ და, ვინ იცის, როდის შერიგდებიან.

ს. წ.—ლი

ბიბლიოგრაფია

ნ. სოლოვიოვ-ნესმელოვს, რუსების საყმაწვილო მწერლობის ნიჭიერ წარმომადგენელს, რომელიც შარშან გარდაიცვალა, სხვათა შორის, შემდეგი საგულისხმიერო სიტყვები დაუწერია თავის სურათზე, რომელიც ერთ ცნობილ ქართველ პედაგოგს უძღვნა: „ბავშვები ყოველთვის იქნებიან—იმით სცოცხლობს ოჯახი, სცოცხლობს საზოგადოება, სცოცხლობს ერი... ერი კი სცოცხლობს, მანამ არ მომკვდარა ენა და ენა კი სცოცხლობს, მანამ მწერლობა სცოცხლობს. თუ საბავშვო მწერლობას საკუთარი დრო გამოშვებითი გამოცემა არა აქვს, უამისოდ მოზრდილთა მწერლობაც დაჩლუნგდება, დაჭკნება და გაჰქრება“.

უტყუარი, დაურღვეველი ჭეშმარიტებაა სოლოვიოვ-ნესმელოვის სიტყვები: ბავშვით სცოცხლობს ოჯახი, საზოგადოება, ერი; ერის არსებობის აუცილებელი პირობა ენაა და ენას კი ეხლანდელ პირობებში მხოლოდ მაშინ შეუძლია სიცოცხლე, როცა ლიტერატურა სცოცხლობს, და როგორ იცოცხლოს ლიტერატურამ, როგორ არ დასჭკნეს და გაჰქრეს იგი, თუ ჩვენი ნორჩი თაობა გონების განვითარების დაწყებისათანავე უცხო, შეუფერებელ მასალით იკვებავს თავს. ბავშვის ტვინსა და გონებას ნორმალურ, საღ განვითარებისათვის—მშობლიური საზრდო ეჭირვება...

სამწუხაროდ, ჩვენში ამ მხრივ ძალიან ცოტაა გაკეთებული; ნორჩი თაობა ვერ იწვრთნება და ვერ ვითარდება ისე, როგორც ამას მისი ბუნება თხოულობს, დ̃ ეს არის ერთი უმთავრესი მიზეზი იმისა, რომ ჩვენი დღევანდელი ლიტერატურა სასურველად ვერ იკიდებს ფეხს ქართულ საზოგადოებაში...

მით მეტის სიხარულითა და მადლობით ვეგებებით ქართველ ქალთა კერძო ინიციატივას, რომლის წყალობით ისეთი მშვენიერი გამოცემა გვაქვს, როგორიც ეხლა ჩვენ წინ მდებარე ექვსი ზღაპრის კრებულია. ასეთი ხელოვნური გამოცემა ჩვენში პირველია: კარგად არჩეული ზღაპრები, ლამაზი და პატარა ბავშვებისათვის შესაფერი შრიფტი, მშვენიერი ქაღალდი და, რაც უფრო იშვიათია ჩვენში, შიგა და შიგ ჩართული ზღაპრის შინაარსის შესაფერი კარგი სურათები.

სრული დარწმუნებული ვართ, რომ ყოველი ბავშვიანი ოჯახი შეიძენს თავისდა სასარგებლოდ ამ მშვენიერ გამოცემას და თან მით საშუალებას მისცემს ქართველ ქალთა სიმპატიურ წრეს განაგრძოს ასე მნიშვნელოვანი და საჭირო საქმე.

ერთი პატარა შენიშვნა ჩვენ გამომცემლებს თუ არ მიწყენენ.

რამდენადაც ვიცით, გამომცემელთა წრეს ბევრნი ეკუთვნიან და ბევრის ერთად მუშაობა ადვილი მოსახერხებელი არ არის. ჩვენის აზრით, უფრო მოხერხებული იქნება, თუ წრე გამოიყოფს სულ მცირე რიცხვოვან გამგეობას და ეს გამგეობა დღეს შეუდგება საქმის პრაქტიკულ განხორციელებას.

მეორე, შემდეგი გამოცემები უფრო იაფფასიანი უნდა იქნეს: ნაკლების ტანისა და ღირსებით (როგორც გარეგანისა და შინაგანისა) კი პირველი გამოცემისთანა.

ერთხელ კიდევ ვაცხადებთ იმედს, რომ მთელი გამოცემა სულ მოკლე ხანში გაიყიდება და მეორე გამოცემასაც მალე ვნახავთ.

გ.

სასამართლო

(თავ. ჭავჭავაძის ანდერძის საქმე)

გუშინ-წინ, 5 ივნისს, ტფ. სამოსამართლო პალატამ განიხილა ცნობილი საქმე თავ. ს. ჭავჭავაძისა, რომელიც ეს ათი-თორმეტი წელიწადია ჩივის, გაუქმებულ იქმნას ანდერძი თავ. დიმიტრი ჭავჭავაძისა. მკითხველებმა იციან, რომ თავ. დიმიტრი ჭავჭავაძემ ანდერძით დასტოვა 400,000 მან.; ამ ფულის ნახევრის სარგებელი თავ. ივანე ჭავჭავაძის შთამომავლობის აღზრდა-განათლებას უნდა მოხმარებოდა და მეორე ნახევრის სარგებელი-კი ტფ. გუბერნიის ჭავჭავაძეთა შეუძლებელ შვილებისა და აგრეთვე ჭავჭავაძეთა ვალდებულ გლეხების შვილთა აღსაზრდელად უნდა გადადებულიყო.

უკანასკნელად ეს საქმე დანიშნული იყო აპრილში, მაგრამ 5 ივნისისათვის გადაიდო, რადგან მოწინააღმდეგე მხარემ ითხოვა საექსპერტო კომისიის დანიშვნა იმის გამოსაკვლევად, თუ რამდენად სრულს ჭკუაზე იყო თავ. დიმიტრი ჭავჭავაძე, როდესაც ანდერძს სწერდა.

საექსპერტო კომისიას, შემდგარს ექიმების მ. გედევანიშვილისა, ორბელისა და ისტამანოვისაგან, დაწვრილებით განუხილავს ამ საქმის მასალა და თავ. დიმიტრი ჭავჭავაძის ანდერძი და დაახლოვებით ის აზრი გამოუთქვამს, რომ თვით შინაარსი ანდერძისა საბუთს იძლევა, რომ დიმიტრი ჭავჭავაძე ანდერძის შედგენის დროს სრულს ჭკუაზე არ ყოფილა; ამასთანავე ექიმებმა დასძინეს, ძალიან ნაკლები მასალა გვაქვს ხელთ, რომ უეჭველმხრივ გამოვიკვლიოთ დიმიტრი ჭავჭავაძის ავადმყოფობის ხასიათი და მიზეზი.

ვიდრე საექსპერტო კომისიის მოხსენებას წაიკითხავდნენ, სამოსწავლო უწყების ვექილმა სთხოვა პალატას, არსებითად დღეს საქმე ნუ განირჩევათ და გადადვას კიდევ ახალ მოწმეების გამოკითხვამდეო. ასეთს თხოვნას ვექილი მიღკუშიძე ასაბუთებდა მით, რომ საკმარისი არ არის უკვე ნაკითხ მოწმეების ჩვენება და საექსპერტო კომისიის გამოკვლევა, რადგანაც თავ. დიმიტრი ჭავჭავაძის ყოფილ მზარეულს და დაქალს (აქამდე უმთავრეს მოწმეებს)—სრულებით არ შეუძლიათ თავადის ცხოვრებიდან ისეთი მაგალითები მოგვაწოდონ, რომ მათზე დავემყაროთ და ისე დავასკვნათ, რომ ჭავჭავაძე უკანასკნელ ხანებში შეშლილი იყოვო. სულხან ჭავჭავაძის ვექილებმა კედრინმა და ოპოჩინინმა ითხოვეს არსებითად საქმის ეხლავე გარჩევა. პალატამ გადასწყვიტა საქმის არსებითად გარჩევა.

მთელი საქმის ვითარების განხილვის შემდეგ მომჩივან-მოპასუხეთა ვექილების კამათმა ნაშუადღევის 5 საათამდე გასტანა. სამოსწავლო ოლქის მზრუნველის ვექილმა მიღკუშიძემ გაიმეორა თავისი მოსაზრება საქმის გადადების შესახებ და რამდენიმე სიტყვით შეეხო თვით ანდერძის შინაარსს და დაამთავრა თხოვნით დაემტკიცებია პალატას ამ საქმის შესახებ 1892 წლის ოლქის სასამართლოს განაჩენი. ოპოჩინინმა გრძელს სიტყვაში უმთავრესი ყურადღება მიაქცია მოწმეების ჩვენებას და საექსპერტო კომისიის დასკვნას ჭავჭავაძის ავადმყოფობის შესახებ და ითხოვა ანდერძის გაუქმება და თ. სულხან ჭავჭავაძისათვის აღნიშნულ 400,000 მან. მისაჯვა. ვექილმა კედრინმა დიდხანს ილაპარაკა. მან მუხლ-მუხლად გაარჩია შინაარსი თვით ანდერძისა, აღნიშნა ერთი ერთმანეთის სრულიად წინააღმდეგი წინადადებანი და განაცხადა, რომ ეს სრული გონების ნაწარმოები არ არისო. სხვათა შორის, კედრინმა მოაგონა პალატას სენატის ერთი ძველი განმარტება, სადაც გადაჭრით არის ნათქვამი, რომ ის ანდერძი, რომელშიაც ნათლად არ არის გარკვეული თუ რომელი თანხაა მოანდერძესაგან დატოვებული მემკვიდრისათვის, ნამდვილ ანდერძად არ ჩაითვლებაო.

დასასრულ კედრინი მიემხრო ოპოჩინინის თხოვნას—მიესაჯოს მათ მრწმუნებელს 400,000 მან. და გაუქმდეს ანდერძიო. სამოსამართლო პალატამ ნაშუადღევის 5 საათზე გამოაცხადა განაჩენი, რომლის შინაარსიც უკვე გუშინ გვქონდა აღნიშნული.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

5 ივნისი

პეტერბურგი. შემოდგომიდან იხსნება პეტერბურგის პოლიტეხნიკური ინსტიტუტი, მიიღებენ 270 კაცს; ინსტიტუტში შესასვლელად საჭიროა უმაღლეს სასწავლებლების, გიმნაზიების, რეალურ და კომერციულ სასწავლებლების ატესტატები; თხოვნა უნდა შეიტანონ არა უგვიანეს პირველის მკათათვისა; სწავლის ფასი 50 მან. ნახევარ წელიწადში; ინსტიტუტშია განყოფილებანი ელექტრო-ტეხნიური, ეკონომიური, გემების საამშენებლო და სამადნო.

პარიზი. ბონალის საქმის გამო შემდეგს იუწყებიან: 18 წლის წინად გენერალმა ბონალმა მიიღო კარგა დიდი ფული, რომელსაც ის ნაჩუქრად სთვლიდა, მაგრამ სასამართლოს დადგენილებით, ფული შესანახად მიუბარებიათ ბონალისთვის და უნდა დაებრუნებინა. რადგანაც ბონალს ეს არ შეუსრულებია, ამ ფულის მცირე წლოვანი პატრონის დედამ მიმართა სასამართლოს, რომელმაც გადაწყვიტა, რომ ფული პატრონს უნდა დაუბრუნდეს. ფულს წვრილ-წვრილად იხდიდა ბონალი.

მიუხედავად ამისა, როდესაც ფულის პატრონი სრული წლოვანი შეიქნა, მიმართა სამხედრო მინისტრს, რომელმაც საქმე გადასცა გასარჩევად დისციპლინარულ სასამართლოს; ამ სასამართლომ კითხვაზე—უპატიოსნოდ ხომ არ მოქცეულა ბონალიო—უპასუხა—არაო.

პრეტორია. კიტჩენერმა გაუგზავნა დევეტს, დელარეის და ბოტას დეპეშა, რომელშიაც განუცხადებს უღრმესს მადლობას იმის გამო, რომ მათ გააადვილეს დამორჩილების საქმე. ბურგერების მოქმედებამ იარაღის აყრის საქმეში დიდად ასიამოვნა მეფე და ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა ბრიტანიის ერზე, რომელიც გულითად მიესალმება ბურგერებს, როგორც თანამოქალაქეებს და დარწმუნებულია, რომ დღეიდან სამხრეთ აფრიკაში დამყარდება სრული მშვიდობიანობა.

ლონდონი. კიტჩენერს გამოუგზავნია სრული სიები: ტრანსვაალში იარაღი აიყარა 11,225 კაცმა-სულ 10,843 თოფი, ორანჟეს ახალშენში-5395 კაცმა—5280 თოფით; სხვა სიები ჯერ სრულად არ არის.

სიმბირსკი. სოფელ შილოვკაში, სიმბირის მაზრაში, აკურთხეს ბადის მუშათა სკოლა.

ხარკოვი. ნოვავის საბანკო კონტორის მოვალეთა კრება მოხდა. ბალანსში დიდი ციფრებია მოყვანილი. უმთავრესი 875,000 მან. წარმოადგენს ნახშირის სამადნოს. მთავარი მოვალე სახელმწიფო ბანკია, რომელმაც სესხად მისცა 275,000 მან. ფულის შემტანთათვის არ მიუციათ კანტორიდან 250,000 მანეთამდის.

მიტავა. აქ შეიყარა კურლიანდიის თავადაზნაურობა მოსალაპარაკებლად იმ უფლებაზე, რომ მაგარი სასმელების გაყიდვის უფლების გაუქმების გამო ხაზინიდან საჩუქარი მიიღონ.

პლოცკი. ზაბოკრჟეცკის და კამპ. ფირმას გარდაეცა პლოცკის ელექტრონის განათების კონცესია. 38 წლის შემდეგ განათება შენობებით გადადის უსასყიდლოდ ქალაქის ხელში.

პეტერბურგი. დღეს, ხუთს თიბათვეს, ხელმწიფე მემკვიდრე თავის გემს „ზარნიცა“-ზე ავიდა; აქ მას დახვდნენ ყველანი, ვინც უნდა ახლდეს მას მეფე ედუარდ მეშვიდის გვირგვინის კურთხევის დღესასწაულზე დასასწრებლად. სამ საათსა და 45 წუთზე გემი დაიძრა და კრონშტადტისკენ წავიდა. ამ გემს მიჰყვება მეორე გემი „სვეტლანა“.

გუშინდელ' დეპეშაში შეცდომით იყო „პსიხოლოგიური სამკურნალო, უნდა იყოს „პსიხიატრული“.

6 ივნისი

ხერსონი. ხერსონის ახალ ნავთ-სადგურიდან გაიგზავნა საზღვარ-გარეთ 210,000 ფუთი ხორბალი.

კიევი. ბულგარიის მთავარმა დაათვალიერა პეჩორის მონასტერი, ქვეითა ჯარის ბანაკი და გაემგზავრა ვარშავაში.

რიგა. მირონოვის საკომერციო სასწავლებლის ზოგიერთი შაგირდები მიდიან სატახტო ქალაქებისა, ნიჟნი-ნოვგოროდისა, ყაზანისა და ვოლგის ნაპირას სხვა ქალაქების დასათვალიერებლად.

კონსტანტინეპოლი. უკვე გამოაცხადეს ბრძანება, რომლითაც მოწონებულია რუვიეს გეგმა ოსმალეთის ვალების შესაერთებლად.

პარიზი. სივეტონის არჩევის გადასინჯვის შესახებ პალატამ 314 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 216-სა მიიღო შემდეგი დადგენილება: „გმობთ-რა ანტიპატრიოტულს და საფრანგეთის საწინააღმდეგო დიფამაციურს აგიტაციას, რომელსაც ავრცელებს საფრანგეთის პატრიოტთა საზოგადოება, პალატამ დაადგინა გამოძიებულ იქმნას სივეტონის არჩევანები“.

პეტერბურგი. მეხუთე კორპუსის უფროსი გენერალ-ლეიტენანტი ბოგოლიუბოვი დაინიშნა ვარშავის ოლქის ლაშქრის სარდლის თანაშემწედ ვარშავის საციხოვნო რაიონების სამმართველოდ.

გამომც. და დრ. რედაქტორი **ალ. ჯაბადარი.**

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში კი—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს—1) № 1 სწრაფი—დილის 6 ს. და 45 წ. (7 ს. 43 წ.); 2) № 3 საფოსტო—ნაშუადღევის 5 ს. 9 წ. (6 ს. 7 წ.); 3) № 5 სამგზავრო—დილის 8 ს. 29 წ. (9 ს. 27 წ.).

ბაქოს—1) № 2 სწრაფი (მხოლოდ პარასკევობით)—დილის 10 ს. 51 წ. (11 ს. 49 წ.) 2) № 4 საფოსტო—დილის 12 ს. 36 წ. (1 ს. 34 წ.); 3) № 6 სამგზავრო—საღამოს 7 ს. 24 წ. (8 ს. 22 წ.).

ბორჯომს—№ 7—დღის 1 ს. 30 წ. (2 ს. 28 წ.).

ყარსს—№ 74/75 საღამ. 8 ს. 30 წ. (9 ს. 28 წ.).

ტფილისში მოდის:

ბათუმიდან—1) № 2 სწრაფი—დილის 9 ს. 4წ. (10 ს. 2 წ.); 2) № 4 საფოსტო—დილის 11 ს. 34 წ. (12 ს. 32 წ.); 3) № 6 სამგზავრო—საღ. 6 ს. 39 წ. (7 ს. 37 წ.).

ბაქოდან—№ 1 სწრაფი (შაბათობით)—დღის 2 ს. 45 წ (3 ს. 43 წ.); № 3 საფოსტო—დღის 3 ს. 56 წ. (4 ს. 54 წ.); № 5 სამგზავრო—დილის 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.).

ბორჯომიდან—№ 8—საღ. 5 ს. 59 წ. (6 ს. 57 წ.).

ყარსიდან—№ 76/77 დილის 6 ს. 20 წ. 7 ს. 18 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ტფილისისაკენ—1) № 2 სწრაფი—ღამის 10 ს. 10 წ. (11 ს. 8 წ.); 2) № 4 საფოსტო—საღამ. 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); № 6 სამგზავრო—დილის 7 ს. 5 წ. (8 ს. 3 წ.).

გ) ქუთაისიდან გამოდის:

ტფილისისაკენ—1) ღამის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28 წ.); 2) ღამის 2 ს. 50 წ. (3 ს. 48 წ.).

ბათუმისაკენ—1) დღის 12 ს. 55 წ. (1 ს. 53 წ.) 2) ღამის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28 წ). 3) დღის 3 ს. 40 38 წ. (4 ს. წ..)

ტყიბულისაკენ—დღის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

განცხადებანი

ДЕНИСОВСКИЙ

მოითხოვეთ ყველგან ნამდვილი
„ოდონტინი“ მ. ვ. ლებედევისა.
ეს საშუალება რამდენიმე დღეში სპობს სრულებით მაზოლსა და მეჭეჭს ძირიანად. უნდა ჰქონდეს ეტიკეტი, მთავრობისაგან დამტკიცებული № 22473.
ისყიდება ტფილისში—საათფთიაქო საქონლის კავკასიის სავაჭრო ამხანაგობის მაღაზიაში და მის განყოფილებებში—ბაქოსა და ბათუმს.
(ნ. 25—7).

ცინკოგრაფია
წიგნებ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა
ვანქის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 372.
კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიული სურათებიდან და ხელით ნახატებიდან.

ქალთა ამხანაგობის სამკერვალო მიიღებს ყოველ გვარ
საკერავს:
კაბებს, წამოსასხამებს, საცვლებს და საცვლებზედ ნიშნებს, (მეტკებს).
ბარონის ქუჩა, № 12 (10—4)

Дозволено цензурою Тифлисъ, 6 Іюня 1902 года.
ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნების გამომც. ქართვ. ამხანაგობისა.